PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „აისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

თამარ დვალიშვილი

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „აისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020წლის 9 ივნისს N449988 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანების დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შეასაბამისობის შემოწმების მიზნით განახორციელოს ვიზიტი სსიპ-კოლეჯ „აისში“ 2020 წლის 2 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტ სოფელ სამრეკლოში.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის „აისი“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: პროგრამა,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობაა და პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი, მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და შრომის ბაზრის კვლევა. შესწავლილი მასალის საფუძველზე ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტისთვის განკუთვნილი დღის წესრიგი **(იხ. დანართი1).**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები დღის წესრიგის მიხედვით გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ პერსონალს, შეამოწმეს პასუხიმგებელი პირების მიერ შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია და არსებული პრაქტიკა, შეისწავლეს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია, გადაამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამის „თექის დამზადება“ შეფასებისა და პრაქტიკაში განხორციელებისთვის არსებულ რესურსი და დაადგინეს თანხვედრა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ ბაზას, ასევე გაეცნო ბიბლიოთეკის ფონდს და დაათვალიერა საბიბლიოთეკო სივრცე.

ვიზიტის ბოლოს მოხდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა.

კოლეჯს 6 წლით აქვს მიენიჭებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი- ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N26, 2016 წლის 23 სექტემერი, ცვლილება 2020 წლის 7 თებერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

--

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

სასურველია ინტეგრირებული მოდულების პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგები (პრაქტიკული კუთხით), სადაც აქცენტი იქნება გაკეთებული ახალი ინვენტარის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე, მოდულური პროგრამების პრაქტიკული ნაწილის მნიშვნელობაზე და ა. შ. ასევე, მნიშვნელოვანია, პედაგოგს გააზრებული ჰქონდეს ძირითად სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა. **მიმდინარე**

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

სასურველია, დაწესებულების მიერ გარკვეული პერიოდულობით შემუშავდეს კვლევის ანგარიშები, რომელიც დაეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიას და მასში გაწერილი იქნება როგორც კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ასევე მოხდება მიღებულ მონაცემთა ანალიზი, ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ძირითადი მიგნებები და გაიცემა რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, სასურველია გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიც. აღნიშნული კოლეჯს უფრო მეტად მისცემს პროგრამების განვითარების შესაძლებლობას.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესსა და დამტკიცების პროცედურაში სასურველია გაწერილი იყოს, ვინ განიხილავს ცვლილებებს, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში, ან მის გარეთ სხვადასხვა მიზეზთა გამო. მაგალითად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში და სხვა. **მიმდინარე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი. სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 25 საათს. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის ქვედა ზღვარი გათვალისწინებული არ იყოს, გამომდინარე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებიდანაც, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში შევიდეს გარკვეული ცვლილება და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებებთან. მაგალითად, მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10% განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის, როდესაც პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით სსსმ პირთა კვოტა თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრულია სრული რაოდენობის 15 პროცენტით. აღნიშნულ დებულებაში ცვლილება განხორციელებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 სექტემბრის N203/ნ ბრძანებით. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაწესებულების მიერ ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტითაც რეგულირდება. აღნიშნული დოკუმენტები არ ავსებენ ერთმანეთს და ძირითადად ერთნაირია. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები გადაიხედოს და განხორციელდეს ცვლილებები. **შესრულებულია**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას სასურველია დირექტორის ბრძანებით

დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გამოყენებული, თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება და სხვა. სასურველია შეფასების მექანიზმები აწესრიგებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნა (როდის იქმნება, ვის მიერ), განმეორებითი შეფასებისთვის როდის იქმნება ინსტრუმენტი, როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტების გადამოწმება (შეფასებამდე რამდენი ხნით ადრე აწვდის შემმოწმებელს, როგორ იღებს უკუკავშირს და სხვა), რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას, როგორ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და შენახვა (ვინ მოიპოვებს, ვისთან ინახება, ვის გადასცემენ შემდეგომ და სხვა). მიზანშეწონილია შეფასების უწყისები ინახებოდეს უვადოდ, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. 3 წლის შემდეგ მტკიცებულებები შეიძლება განკარგულ იქნას დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. **შესრულებულია**

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი 2

განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი 2

ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების წერილით. რეკომენდებულია ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობს. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებელი „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

განვითარების რეკომენდაციები

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ინდიკატორი 1

დაწესებულების მიერ გამოკითხვის შედეგების გაცნობა არ ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლებამდე და პროფესიულ სტუდენტებამდე. რეკომენდებულია დაყვანილი იყოს გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დაინტერესებულ მხარემდე მათი შემდგომი განვითარებისთვის, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელ პერსონალამდე და პროფესიულ სტუდენტებამდე.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის თექის დამზადება

პროგრამის სახელწოდება	თექის დამზადება
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2020წლის 29 მაისის ბრძანება N02-01-111
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „თექის დამზადება“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის „თექის დამზადება“

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

„თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას, სსიპ კოლეჯი „აისის“ მისიაა - უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დანერგვისა და სტუდენტების/მსმენელების ინტერესების პრიორიტეტიზაციის გზით, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებებით, ახალი იდეებითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეძლებენ თვითრეალიზაციას, შემოქმედებითად მიუდგებიან ქვეყნის ეკონომიკურ თუ გლობალურ გამოწვევებს და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს“.

ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილების დასაბუთებას. ამ პროგრამის მოთხოვნის აუცილებლობა შრომის ბაზრის კვლევაში არ იკვეთება, მაგრამ ვიზიტის განხორციელებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარმოუდგინეს 2019 წლის კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევა(სსიპ კოლეჯ „აისის“კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური 2019წ.), სადაც ასახულია, 2019 წლამდე განხორციელებული პროგრამის „თექის ოსტატი“ ფარგლებში, ჩარიცხულ პროფესიული განათლების სტუდენტთა რაოდენობა(29), საბოლოოდ კურსდამთავრებულთა რაოდენობა(27). კურსდამთავრებულთა 91% დასაქმებულია სწავლის დასრულების შემდეგ, საიდანაც 68% თვითდასაქმებულია(პროფესიით), ხოლო 23% დასაქმებულია პროფესიით დაწესებულებებსა და კომპანიებში. მხოლოდ 9% არ არის დასაქმებული. ექსპერტთა შეფასებით, ამ მტკიცებულების საფუძველზე დასტურდება პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა. გარდა ამ კვლევისა, ანალიზი ჩაუტარდა კოლეჯის ადგილმდებარეობას, რაც ცხადყოფს, რომ რეგიონის გათვალისწინებით „თექის დამზადების“ პროგრამის დამატება სრულიად ლოგიკურია, რადგან ხალხური რეწვის ეს მიმართულება რეგიონისთვის ისტორიულად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეისწავლეს ექსპერტებმა და დაადგინეს, რომ პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დამატებას და დანერგვას.

2. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში/თავი III „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით, ცვლილება 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით. <u>ამ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.</u>

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; კოლეჯის მიერ სტუდენტთა კვოტა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად 10 თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (არაქართულენოვანი პირებისთვის სწავლის ხანგრძლივობა „თექის დამზადების“ პროგრამაზე შეადგენს 1წელი და 4 თვეს) კვოტა განისაზღვრება 2 ჯგუფით (10-20) პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტის გათვალისწინებით, თუ დაკმაყოფილებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები. მეთოდოლოგიის შესაბამისად და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ განმეორებითი მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ან/და დარგობრივი/საერთო დარგობრივი მოდულის ამოწურვის შემდგომ, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა C გარემო;

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თექის დამზადების“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა შეფასებით ერთ მიღებაზე შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება ერთ ცვლაში, თუმცა მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულებაში დასაშვებია ორცვლიანი მუშაობის რეჟიმიც.

4. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „თექის დამზადების“ გათვალისწინებული რესურსის შესწავლა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში არსებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის განხორციელებას 3 აუდიტორიაში, კერძოდ:

სასწავლო გარემო A აუდიტორია

1.პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც,

2.მასწავლებლის მაგიდა - 1ც,

3.პროფესიული სტუდენტის მაგიდა და სკამი 15 სტუდენტისათვის,

4.დაფა - 1ც.

5. პროექტორი - 1ც.

სასწავლო გარემო B აუდიტორია - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი

1. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც,
2. მასწავლებლის მაგიდა - 1ც,
3. პროფესიული სტუდენტის მაგიდა და სკამი - 15 სტუდენტისათვის,
4. დაფა - 1ც;
5. პროექტორი - 1ც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს **სახელოსნო,** რომელიც ვიზიტის დროს დაათვალიერეს ექპერტებმა.მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის მიერ, წინასწარ წარმოდგენილ განაცხადის ჩამონათვალში ვხვდებით ისეთ დანადგარებს, როგორიცაა „თერმოპრესი“(ჩამონათვალში N42) და „საყოფაცხოვრებო საშრობი“(ჩამონათვალში N27), ვიზიტისას ადგილზე ეს ხელსაწყო-დანადგარები ვერ ვნახეთ, თუმცა მათი ჩანაცვლება ხდება ორთქლის უთოთი გამწოვი მაგიდით (ჩამონათვალსი N 59) და საოჯახო ტიპის საშრობით (ჩამონათვალში N26). ექსპერტთა შეფასებით არსებული რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა მიერ მოდულების მიხედვით შერჩევით შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ლიტერატურა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ „თექის დამზადების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო რესურსისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი სახელმძღვანელო- „მატყლისა და თექის დამზადების ტექნოლოგიები“ 2015 წ. შემუშავებული და დაწერილია კოლეჯ „აისის“ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანის ფილიალის პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამა „თექის დამზადების“ ხელმძღვანელის ნუგზარ ძამუკაშვილის მიერ.

5. „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **არ მოიცავს არჩევით მოდულებს;**

6. „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის-დირექტორის მიერ, რაც დასტურდება **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, მუხლი2.**

7. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და **არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავების საფუძველია **მხატვრული ქსოვილები**-სარეგისტრაციო ნომერი - 02126-პ; დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა,ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლის პროცესის ხანგრძლივობაა – 1წელი და 1.5 თვე.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მისია;
- პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოდულები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით);
- კურსდამთავრებულთა კვლევა;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიულ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; (**იხ. სტანდარტი 2.1.1, პუნქტი 3 და 4.**)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. „თექის დამზადების“ პროფესიულ პროგრამისთვის ეფექტურად განხორციელებისთვის პროფესიულ მოდულებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 მასწავლებელთან, ზოგადი მოდულებისთვის-6 მასწავლებელთან. ექსპერტთა შეფასებით მათი დატვირთვა არ აღემატება შრომის კანონმდებლობას და უზრუნველყოფს, პროგრამის მდგრადობას.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ მასწავლებლებთან. როგორც გასაუბრებამ აჩვენა, მასწავლებლები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში და მათ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება, მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ პროგრამას და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ ასევე შემოწმდა მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. <u>განმახორციელებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.</u>**<u>(იხ. დანართი 2)</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიულ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (პროფესიული განათლების მასწავლებელების პირადი საქმეები: კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-დიპლომები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები) დადასტურდა მათი კომპეტენციის შესაბამისობა სწავლის შედეგების გამომუშავებასა და შეფასების კომპეტენციასთან; ექსპერტები გაესაუბრნენ მასწავლებლებს, მათ აქვთ მოდულური სწავლებისა და სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია შესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ პროგრამას და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან განხორციელდა ინტერვიუ, გასაუბრებით დავადგინეთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავების პროცესში, მან უნდა გაუწიოს დახმარება პროფესიულ მასწავლებლებს მოდულების კალენდარული გეგმების/ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.

პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად ესწრებიან ტრენინგებს და გამოთქვამენ მზაობას შემდგომი განვითარებისათვის.

4. „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები დამტკიცებულია 27.05.2020 კოლეჯის დირექტორის N02-01-108 ბრძანებით, ვიზიტის დროს მოხდა მასთან გასაუბრება. გასაუბრებით დადგინდა ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

რომ იგი ჩართული იყო პროგრამის შემუშავბასა და ადაპტირებაში, კოორდინირებას უწევდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მუშაობაში;

5. „თექის დამზადების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; **(იხ. სტანდარტი 2.1.1, პუნქტი 4.)**

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერებს დავალებული აქვთ ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობების შეთავსება. ვიზიტის დროს მოხდა მათთან გასაუბრება და ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3კომპიუტერი 2 მაგიდა, 1მაგიდა (ბიბლიოთეკარისთვის). ბიბლიოთეკის კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლს შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო

დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დედოფლისწყაროს ფილიალში მსგავს პრაქტიკას ადგილი არ ჰქონია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა „თექის დამზადების“ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების წყაროა ვაუჩერი, სუბსიდია.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, პროგრამული უზრუნველყოფის, პრაქტიკული სწავლების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოდულები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- დირექტორის ბრძანებით კოლეჯის თანამშრომელთათვის შეთავსების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- მატერიალური რესურსი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასებისთვის დაწესებულებას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანება, ცვლილება 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით). კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერები, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ზრდასრულთა განათლების კორდინატორი, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

პროცესის მენეჯერების ასისტენტები) და პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ მოდელზე, რომლის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას.სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი სასწავლო კურსებით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს, პასუხისმგებლობით ეკიდება თუ არა პერსონალი დაკისრებულ ვალდებულებებს, უზრუნველყოფილია თუ არა სტუდენტთა დახმარების და მხარდაჭერის სერვისი, სასწავლო პროცესის ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატური პირობები და სხვ. შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია:

- პროგრამის შეფასების კითხვარი
- სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კითხვარი
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი
- დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი
- დამსაქმებლის საჭიროებათა კვლევის კითხვარი
- მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი
- მასწავლებლის კმაყოფილების კითხვარი
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი
- მოდულური პროგრამების კითხვარი მასწავლებლებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი

ვიზიტის განხორციელებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარმოუდგინეს 2019 წლის კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევა(სსიპ კოლეჯ „აისის“კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური 2019წ.), სადაც ასახულია, 2019 წლამდე განხორციელებული პროგრამის „თექის ოსტატი“ ფარგლებში, ჩარიცხულ პროფესიული განათლების სტუდენტთა რაოდენობა(29), საბოლოოდ კურსდამთავრებულთა რაოდენობა(27). კურსდამთავრებულთა 91% დასაქმებულია სწავლის დასრულების შემდეგ, საიდანაც 68% თვითდასაქმებულია(პროფესიით), ხოლო 23% დასაქმებულია პროფესიით დაწესებულებებსა და კომპანიებში. მხოლოდ 9% არ არის დასაქმებული. ამ მტკიცებულების საფუძველზე დასტურდება პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა. გარდა ამ კვლევისა, ანალიზი ჩაუტარდა კოლეჯის ადგილმდებარეობას, რაც ხადყოფს, რომ რეგიონის გათვალისწინებით „თექის დამზადების“ პროგრამის დამატება სრულიად ლოგიკურია, რადგან ხალხური რეწვის ეს მიმართულება რეგიონისთვის ისტორიულად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას რეგიონში, მეცხოველეობის და მეცხვარეობის განვითარება ხელისშემწყობი ფაქტორია თექის წარმოებისთვის;

დაწესებულებას აქვს არსებული ბაზრის კვლევის გამოცდილება, თუმცა თექის დამზადების პროგრამაზე მოთხოვნილება კვლევის ანგარიშში პირდაპირ არ იკვეთება.

გასაუბრების დროს კოლეჯის დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ მონაწილეობას იღებენ გამოკითხვებში, <u>თუმცა აღნიშნეს, რომ არ იღებენ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

უკუკავშირს. რეკომენდებულია დაყვანილი იყოს გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ მხარემდე, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელ პერსონალამდე და პროფესიულ სტუდენტებამდე.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრას, შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრას, უზრუნველყოფს შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას და შემუშავებას; პროგრამების გამხორციელების შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამის ან/და პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- კურსდამთავრებულთა კვლევა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

5. ბსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად;

სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

2. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯში არსებული თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი იძლევა საშუალებას ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილი იყოს განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს, სახელოსნოში არის თანამედროვე საკერავი და საქარგავი მანქანები, რომლების ანაცვლებს ხელით შრომას, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები სემინარი, დისკუსია და სხვა.

4. სასწავლო პროცესის მარეეგულირებელი წესის მეთვრამეტე მუხლში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი. შეზღუდული შესაძლებობის და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლს შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

კოლეჯის წარმომადგენელმა დაგვიდასტურა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული,ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

5. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში არსებული სახელოსნო სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოადგენს მის საკუთრებას, შესაბამისად პსდ-ს არ აქვს საჭიროება ითანამშრომლოს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ სხვა პარტნიორთან ან სასწავლო საწარმოსთან;

6. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვისა და უსაფრთხოების კოორდინატორთან, რომელსაც შეთავსებული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობები. აღნიშნული პიროვნება უზრუნველყოფს კოლეჯში შრომის პირობების ინსპექტირებას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კოლეჯს შემუშავებული აქვს, უსაფრთხოების წესები“. (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N02-01-190 ბრძანების საფუძველზე. (28.11.2019 წ). აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია - უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები (მუხლი 2), ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მუხლი 3), სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა (მუხლი 4). უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები (მუხლი 5). ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კოლეჯის მედდის ძირითადი ფუნქციები.

სასურველია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოდულები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N03-01-05 20.01.2020 დაცვისა და უსაფრთხოების კოორდინატორთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება N02-01-190 28.11.2019 უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით „თექის დამზადების“ პროფესიული პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ხდება სასწავლო პროცესის მართვა.აღნიშნული წესის მერვე თავი -პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასება - მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების, გასაჩივრების, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის,კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანება).

მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:

ა) კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;

ბ) პროგრამის ხელმძღვანელი ან/და წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) სასწავლო დარგის მენეჯერები.

მეთოდოლოგისს შესაბამისად შიდა ვერიფიკაციის ჯგუფმა უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:

ა) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება;

ბ) მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;

გ) მოხსენების მომზადება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას (ხარისხის მართვის მექანიზმები და შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის მეთოდოლოგია) და პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტების გადაგზავნა შესათანხმებლად მასწავლებლების მიერ ხდება ხარისხის მართვის მენეჯერთან. ვერიფიკაციის ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აღნიშნული ფუნქცია ასევე განსაზღვრული აქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმებით. <u>რეკომენდებულია, ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

<u>შემუშავების პროცესში მონაწილეობს. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებელი „შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია“ ითვალისწინებდეს ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.</u>

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება დაწესებულებაში,მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 30); აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის” შესაბამისად. დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის,შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-111 ბრძანებით დამტკიცებული „თექის დამზადების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოდულები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

სულ 5 ფურცელი: დანართები წამოდგენილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცელი;
დანართი 2. პროგრამის განმახორციელებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება - 3 ფურცელი;

23.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---